

• Visegrad Fund

საინფორმაციო ბიულეტენი პოლონეთის საჯარო კომუნალურ სექტორში არსებული მარეგულირებელი გარემოს შესახებ

ავტორი:

ცეზარი ლეიკოვსკი - პარტნიორები
კლიმატისთვის (P4C)

პროექტი:

ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება
კომუნალური მომსახურების რეგულირების შესახებ

თარიღი: აპრილი/მაისი 2024



1. შესავალი

ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისი (URE) სახელმწიფო ადმინისტრაციის ცენტრალური ორგანოა, რომელიც პასუხისმგებელია ენერგეტიკის სექტორის რეგულირებასა და კონკურენციის ხელშეწყობაზე. ოფისის პრეზიდენტი ინიშნება პრემიერ-მინისტრის მიერ 5-წლიანი ვადით და მისი ფუნქციები მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფო ენერგეტიკულ პოლიტიკასთან, რომელიც ორიენტირებულია მდგრადი განვითარებისთვის პირობების შექმნაზე, ენერგოუსაფრთხოებაზე, საწვავის ეფექტურ გამოყენებაზე, კონკურენციაზე, გარემოს დაცვასა და საერთაშორისო ხელშეკრულებებზე. საკანონმდებლო ცვლილებების გამო ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის საქმიანობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, რაც უზრუნველყოფს ენერგეტიკულ კომპანიებსა და მომხმარებლებს შორის ბალანსს.

ენერგეტიკის მარეგულირებელმა ოფისმა დაამყარა საერთაშორისო ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა ენერგეტიკის ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებთან რეგიონულ დონეზე და ევროკავშირის ფარგლებში ენერგეტიკის რეგულირების სფეროში. ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისი მუდმივად უზრუნველყოფს წვდომას ახალ მიდგომებსა და საუკეთესო პრაქტიკაზე მარეგულირებელ ასოციაციებში მონაწილეობით, როგორცაა ევროპის ენერგეტიკის მარეგულირებელთა საბჭო (CEER) და ენერგეტიკის რეგულირების რეგიონული ასოციაცია (ERRA), რომლებიც აერთიანებს მარეგულირებელ ინსტიტუტებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

2. კანონმდებლობა

ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისი დაარსდა 1997 წელს. იგი პასუხისმგებელია ენერგეტიკის შესახებ კანონისა და კანონქვემდებარე აქტების აღსრულებაზე, ბუნებრივი გაზის, ელექტროენერჯის, ცენტრალური გათბობის და თხევადი საწვავის სექტორების საწარმოების ლიცენზირებაზე, ტარიფების დამტკიცებაზე, მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე, კონკურენციის ხელშეწყობაზე, ბაზრის მონიტორინგზე, განახლებადი ენერჯის წყაროებისა და კომბინირებული თბური ენერჯისა და ელექტროენერჯის სისტემების მხარდაჭერასა და ენერგოეფექტურობის ხელშეწყობაზე.

ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისი არის დამოუკიდებელი ორგანო. ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს ვარშავის რაიონულ სასამართლოში - კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ოფისში გადაწყვეტილების მიღებიდან 2 კვირის ვადაში.

2.1. ორგანიზაციული სტრუქტურა

ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტს ნიშნავს პრემიერ-მინისტრი 5 წლის ვადით. ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისი შედგება სათაო ოფისისა და 8 ფილიალისგან. ოფისს ხელმძღვანელობს პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და გენერალური დირექტორი. ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის სათაო ოფისში შედის შემდეგი ორგანიზაციული ერთეულები: ელექტროენერჯის და თბური ენერჯის ბაზრების

დეპარტამენტი, აირადი საწვავის ბაზრის დეპარტამენტი, თხევადი საწვავის ბაზრის დეპარტამენტი, ბაზრის განვითარებისა და მომხმარებელთა საჩივრების დეპარტამენტი, ბაზრის მონიტორინგის დეპარტამენტი, განახლებადი ენერჯის დეპარტამენტი, ენერგოეფექტურობისა და კოგენერაციის დეპარტამენტი, იურიდიულ საკითხთა და დავების მოგვარების დეპარტამენტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, საერთაშორისო თანამშრომლობის განყოფილება, გენერალური დირექტორის აპარატი, საიდუმლო ინფორმაციის დაცვის სამსახური და შიდა აუდიტორი.

3. მარეგულირებელი პოლიტიკა - ენერგეტიკა

3.1. განცალკევება

ენერგეტიკის შესახებ კანონის თანახმად, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ელექტროენერჯის და გაზის სისტემების ოპერატორების, როგორცაა გამანაწილებელი სისტემის ოპერატორები, სამართლებრივი და ორგანიზაციული განცალკევება და დამოუკიდებლობა. პოლონეთში PSE S.A.-ს მიენიჭა დამოუკიდებლობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის სერტიფიკატი 2030 წლის 31 დეკემბრამდე. 2022 წელს ხუთი მსხვილი გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი კანონის თანახმად ვალდებული გახდა განეცალკევებინა განაწილების საქმიანობა არაგანაწილების საქმიანობისგან. 2022 წლის ბოლოს, 184 კომპანია განისაზღვრა, როგორც გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი, რომლებიც ოპერირებდა ვერტიკალურად ინტეგრირებულ საწარმოების ფარგლებში და არ ექვემდებარებოდა განცალკევებას.

3.2. შესაბამისობის პროგრამები

ოპერატორის დამოუკიდებლობა მნიშვნელოვანია გამანაწილებელი სისტემის ოპერატორების ფუნქციების შესასრულებლად. ოპერატორებმა უნდა შეიმუშაონ შესაბამისობის პროგრამები სისტემის მომხმარებელთა არადისკრიმინაციული მოპყრობის უზრუნველყოფის მიზნით. ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტი ამტკიცებს გადაწყვეტას ქსელთან მიერთებული ხუთი ოპერატორის შესაბამისობის პროგრამას. ოპერატორებმა წლიური ანგარიშები უნდა წარადგინონ 31 მარტამდე. 2019 წელს შემუშავდა ახალი გზამკვლევები შესაბამისობის პროგრამებისთვის, ხოლო 2022 წელს ოთხმა გამანაწილებელი სისტემის ოპერატორმა დაანერგა შესწორებული შესაბამისობის პროგრამა. შესაბამისობის პროგრამების თემატური სფერო გაფართოვდა და მოიცავდა ქსელის ინფრასტრუქტურის მართვას, კომუნიკაციას, მარკეტინგულ აქტივობებს, ცენტრალიზაციას და შესყიდვებს. შესაბამისობის ოფიცრებმა წარმოადგინეს მოსაზრებები დოკუმენტების პროექტებზე და პერიოდულად განიხილავდნენ შიდა რეგლამენტებსა და დოკუმენტების შაბლონებს შესაბამისობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

2022 წელს კომპანიამ განახორციელა კორპორატიულ მართვასთან დაკავშირებული მონაცემების მიმდინარე ანალიზი სენსიტიური ინფორმაციის დასაცავად. შესაბამისობის ოფიცრებმა განმარტეს შესაბამისობის პროგრამის დებულებები მენეჯმენტის ან

თანამშრომლების მოთხოვნით, მიაწოდეს მათ ინფორმაცია და ახსნა-განმარტებები. ახალდაქირავებულ თანამშრომლებს დასაქმებიდან 30 დღის ვადაში ჩაუტარდათ ტრენინგები, ასევე გადამზადდნენ მომსახურების მიმწოდებლები, რომელთა მოვალეობებიც თანაბარი მოპყრობის პრინციპის დარღვევის რისკთან იყო დაკავშირებული. 2022 წელს შესაბამისობის ოფიცრებმა დააფიქსირეს შესაბამისობის პროგრამის დებულებების ერთი დარღვევა და ინტერესთა კონფლიქტის ცხრა შემთხვევა, რამაც გამოიწვია შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა და გატარდა ზომები სამომავლო დარღვევების აღმოსაფხვრელად. ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისში არ შესულა საჩივრები შესაბამისობის პროგრამების განხორციელებასთან ან დარღვევასთან დაკავშირებით, თუმცა მიღებული იქნა წერილი პროფკავშირებისგან „მომხმარებლების მასობრივი მომსახურების ხარისხის ოპტიმიზაციის“ პროექტთან დაკავშირებით.

3.3. ქსელის გაფართოება და ოპტიმიზაცია გადამცემი სისტემის ოპერატორების საინვესტიციო გეგმების მონიტორინგი

Polskie Sieci Elektroenergetyczne S.A., ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ერთადერთი ოპერატორია პოლონეთში, რომელიც პასუხისმგებელია საინვესტიციო ამოცანებზე ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტთან შეთანხმებული განვითარების გეგმის მიხედვით. გეგმა უნდა შეესაბამებოდეს ენერგეტიკის შესახებ კანონს, სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის დაშვებებს და ადგილობრივ საბჭოებს კომპეტენციის საკითხებში. ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტი ამოწმებს გეგმთან შესაბამისობას, რაც უზრუნველყოფს ეფექტიანობის გრძელვადიან მაქსიმიზაციას და ელექტროენერჯის ფასების მატების თავიდან აცილებას. 2022 წელს მოქმედი იყო გადამცემი სისტემის ოპერატორის 2021-2030 წლების განვითარების გეგმა, საინვესტიციო ხარჯებით შეთანხმებული იყო 14,158.3 მილიონი პოლონური ზლოტი. 2023-2022 წლებში ოფისის პრეზიდენტმა შეათანხმა გადამცემი სისტემის ოპერატორის გეგმის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა 36,619.4 მილიონ პოლონურ ზლოტს ფიქსირებულ ფასად. შესრულების წლიური ანალიზი ტარდება საინვესტიციო გეგმების მონიტორინგის და მომავალი შესწორებების შეთანხმების მიზნით.

ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტმა უნდა უზრუნველყოს გადამცემი სისტემის ოპერატორის საინვესტიციო გეგმების შესაბამისობა ევროკავშირის ქსელის განვითარების ათწლიან გეგმასთან (TYNDP), რომელიც შემუშავებულია ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორების ევროპული ქსელის (ENTSO-E) მიერ. ორივე გეგმის შესაბამისობა მოწმდება დოკუმენტების ყოველი განახლების დროს. 2022 წლის საინვესტიციო პროექტები მოიცავს 400 კვ ოსტროლოკა-სტანისლავოვის ხაზის, მიკულავა-შვიბოჟიცეს ხაზის, ბაჩინა-კრანინკის ხაზის, დუნოვო-ჟიდოვო კიერზკოვო-პილა კრჟევიანას ხაზის, კრანინკ-მორზიჩინის ხაზის, მორზიჩინ-დუნოვსკის ხაზის, დუნოვო-შლუპსკის ხაზის, შლუპსკ-ზარნივიეცის ხაზის, ზარნივიეც-გდანსკ I/გდანსკ პრჟიაჩნის ხაზის, გდანსკ ბლონია-გდანსკ I/ გდანსკ პრჟიაჩნის ხაზის მშენებლობას და პოლონეთი-ლიეტუვის მუდმივი დენის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემის სისტემის (HVDC) საკაბელო ურთიერთდაკავშირებას. თუმცა, შესაძლოა არსებობდეს მცირე შეუსაბამობები დაგეგმვის თვალსაზრისით დოკუმენტების განახლებისთვის

საჭირო სხვადასხვა ვადების და ინვესტიციის დაწყების თარიღის გამო. გამოვლენილი შეუსაბამობები საჭიროების შემთხვევაში განმარტებულია გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ.

3.4. ჭკვიანი ქსელები

2021 წლის ენერჯეტიკის შესახებ კანონით განსაზღვრულია სისტემური გადაწყვეტილებები ჭკვიანი აღრიცხვისთვის, რაც გამანაწილებელი სისტემის ოპერატორებისგან მოითხოვს დისტანციური მრიცხველების დამონტაჟებას ენერჯის მოხმარების წერტილებში. მოდერნიზაციის შედეგად შედეგად შემცირდა გამორთვების საშუალო ხანგრძლივობის ინდექსი (SAIDI) და გამორთვების საშუალო სიხშირის ინდექსების (SAIFI) გამანაწილებელი კომპანიებისთვის, რასაც ხელი შეუწყო 2015 წელს განხორციელებულმა ხარისხის რეგულირებამ. თუმცა, მიუწოდებელი ენერჯის ღირებულება გაიზარდა 2022 წელს, შესაბამისად ხუთი უმსხვილესი გამანაწილებელი სისტემის ოპერატორისთვის SAIDI გაიზარდა 132.50 წუთით/მომხმარებელზე და SAIFI კი 0.70 ერთეულით/მომხმარებელზე. ცვალებადმა და არახელსაყრელმა ატმოსფერულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა აღნიშნულ მაჩვენებლებზე, რამაც გამოიწვია შეფერხებები და მასშტაბური ავარიები. შედეგად კი დაზიანდა საჭაერო ელექტროგადამცემი ხაზები.

SAIDI, SAIFI და მიუწოდებელი ელექტროენერჯის ინდიკატორები დიდწილად განპირობებულია საკაბელო ხაზის გაუმართაობით, რომელიც გამოწვეულია მესამე მხარის მიერ, გარე ფაქტორებით, გაუმართავი აღჭურვილობით და მიმწოდებლების მიერ მოწოდებული მოწყობილობების დაბალი ხარისხით. მარეგულირებელს არ შეუქმნია ინსტრუმენტები ამ ინვესტიციების შესაფასებლად გამანაწილებელი სისტემის ოპერატორების მიერ საპილოტე პროექტების განხორციელების გამო. თუმცა, ამ პროექტების მონიტორინგი ყოველწლიურად ხორციელდებოდა გამანაწილებელი სისტემის ოპერატორების ინდივიდუალური ანგარიშების ან საინვესტიციო გეგმების მეშვეობით. ელექტროენერჯის ხუთმა უმსხვილესმა გამანაწილებელმა განაცხადა ქსელის ინვესტიციების ხარჯების უპირატესი წილის შესახებ, მათ შორის ელექტროენერჯის მომხმარებლებისა და მწარმოებლების მიერთება, არსებული აქტივების მოდერნიზაცია და აღდგენა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. მოდერნიზაცია ორიენტირებულია ქსელის მუშაობის პარამეტრების გაზრდაზე და ფუნქციონალურობის გაძლიერებაზე. კომპანიებმა ასევე განახორციელეს ინვესტიციები ქსელის რეკონსტრუქციის მიზნით, რათა ხელი შეუწყოს გავრცობილი ენერჯის წყაროების განთავსებას, გამანაწილებელი სისტემის და ელექტრომობილების სექტორის განვითარებას. საინვესტიციო საქმიანობა ორიენტირებულია ინოვაციების დანერგვაზე და ჭკვიანი ქსელების მშენებლობაზე, როგორცაა საშუალო ძაბვის ქსელის ავტომატიზაცია და მოკლე ჩართვის დეტექტორები.

3.5. ქსელის ტარიფები

2022 წელს ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტმა დაიწყო წარმოება სხვადასხვა სუბიექტისთვის, მათ შორის, გადამცემი სისტემის ოპერატორებისთვის, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორებისთვის, ელექტროენერჯის მიმწოდებლებისა და სამრეწველო ენერგეტიკული კომპანიებისთვის ელექტროენერჯის ტარიფების დამტკიცების თაობაზე. 2022 წლის 7 ოქტომბრის აქტის საფუძველზე განისაზღვრა ანგარიშების დაფიქსირების მექანიზმი მოხმარების გარკვეული ლიმიტებისთვის კვალიფიციური მომხმარებლებისთვის, რაც მოიაზრებდა ენერჯის ფასების და განაწილების საფასურის განაკვეთების დაფიქსირებას კანონით განსაზღვრულ ლიმიტამდე. 2022 წლის 27 ოქტომბრის აქტის საფუძველზე განისაზღვრა ელექტროენერჯის გარანტირებული „მაქსიმალური“ ფასი, რომელიც გამოყენებული იქნება 2023 წელს ენერჯის მიმწოდებლების მიერ კვალიფიციურ მომხმარებლებთან ანგარიშსწორებისთვის. ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტმა განაგრძო ტარიფებთან დაკავშირებული პროცედურების ჩატარება და ენერგეტიკული კომპანიებისთვის ტარიფების დამტკიცება მოქმედი კანონის დებულებების გათვალისწინებით. თუმცა, ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტის მიერ 2022 წელს დამტკიცებული ტარიფები G სატარიფო ჯგუფის მიმწოდებლებისთვის პირდაპირ არ ვრცელდება ამ ჯგუფების მომხმარებლებზე 2023 წელს. სამაგიეროდ, ეს ტარიფები წარმოადგენს ენერგოკომპანიების მიმართ კომპენსაციის დონის გაანგარიშებისა და გადახდის საფუძველს.

ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტმა დაამტკიცა ელექტროენერჯის განაწილების მომსახურების ტარიფები ხუთი უმსხვილესი გამანაწილებელი სისტემის ოპერატორისთვის: PGE Dystrybucja S.A., TAURON Dystrybucja S.A., ENEA Operator Sp. z o.o., ENERGA-OPERATOR S.A. და Stoen Operator Sp. z o.o, რაც ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრიდან. ეს ტარიფები ვრცელდება კვალიფიციურ მომხმარებლებზე, მათ შორის საყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე, რომელთა მიერ ენერჯის მოხმარების მაჩვენებელი აღემატება ენერჯის მოხმარების ლიმიტს.

ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტმა დაამტკიცა ელექტროენერჯის ტარიფები G სატარიფო ჯგუფის მომხმარებლებისთვის ხუთი სტანდარტული მიმწოდებლისთვის, ENEA S.A., ENERGA-OBRÓT S.A., PGE Obrót S.A., TAURON Sprzedaż Sp. z o.o., და TAURON Sprzedaż GZE Sp. z o.o., 2023 წლის 31 დეკემბრამდე. ეს ტარიფები გამოიყენება ენერგეტიკული კომპანიებისთვის კომპენსაციის გადასახდელების გამოსათვლელად. ასევე დამტკიცდა ტარიფები სამრეწველო ენერგეტიკული კომპანიებისთვის, რომლებსაც არ აქვთ ელექტროენერჯის განაწილებისა და მიწოდების საქმიანობის განცალკევების ვალდებულება. ეს ტარიფები ეხება მომხმარებლებს ყველა სატარიფო ჯგუფში ძაბვის ყველა დონეზე და არის ერთიანი ქვეყნის მასშტაბით.

3.6. უსაფრთხოებისა და საიმედოობის რეგულირება, ქსელის უსაფრთხოებისა და საიმედოობის წესები

ენერგეტიკის შესახებ კანონი ენერგეტიკულ საწარმოებს ავალდებულებს, უზურნველყოფონ მოწყობილობების, დანადგარებისა და ქსელების სიმძლავრე საწვავის ან ენერჯის საიმედოდ მიწოდების და ხარისხის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. გადაცემის მომსახურება ყველა სუბიექტს უნდა გაეწიოს თანაბარი პირობებით, ელექტროენერჯის მიწოდების საიმედოობისთვის დაბრკოლების შექმნის ან ხარისხის გაუარესების გარეშე. ელექტროენერჯის სისტემის დადგენილების დამატებითი დებულებები არეგულირებს ენერგომომარაგების სტანდარტებს, რომლებიც აისახება ცალკეული ქსელის ოპერატორების გადამცემი ან გამანაწილებელი ქსელის კოდექსებში. ქსელის მუშაობის საიმედოობა არის ენერგეტიკული უსაფრთხოების წარმოებული, რომელიც განისაზღვრება სიმძლავრის რეზერვითა და სისტემის ოპერატორების კომპეტენციებითა და უფლებებით. სისტემის ოპერატორები პასუხისმგებელი არიან ელექტროენერჯის უსაფრთხოებაზე ელექტროენერჯის ბაზრებზე: გადამცემი სისტემის ოპერატორები სისტემის ბაზარზე და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორები კი ადგილობრივ ბაზრებზე.

ელექტროენერგეტიკული ქსელის კოდექსები განსაზღვრავს ქსელის გამოყენების, ოპერირების, ექსპლუატაციისა და განვითარების დაგეგმვის პირობებს და ორიენტირებულია უსაფრთხოებაზე, ტექნიკურ მომსახურებასა და ხარისხის პარამეტრებზე.

3.7. გადატვირთვის მართვა

გადატვირთვის მართვა ტრანსსასაზღვრო ინფრასტრუქტურაზე წვდომის უმნიშვნელოვანესი ასპექტია, რომელიც რეგულირდება 2019/943, 2015/1222 და 2016/1719 რეგულაციებით. 2022 წელს გადაცემის სიმძლავრეების გამოთვლა და განაწილება ხდებოდა ცალკეულად სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებისთვის, მათ შორის სინქრონული პროფილისთვის, შვედეთთან, ლიეტუვასთან და უკრაინასთან მუდმივი დენით ურთიერთდაკავშირებისთვის. ნაკადებზე დაფუძნებული განაწილების (FBA) მეთოდმა ჩაანაცვლა სრული გამტარუნარიანობის (NTC) მეთოდი ყოველდღიური საქმიანობისთვის, ხოლო შვედეთთან და ლიეტუვასთან კავშირებისთვის, ექსპორტისა და იმპორტის სიმძლავრეების გამოთვლა ხდებოდა ყოველდღიური აუქციონებისთვის და დღიური პროცედურებისთვის. შუალედური მოდელი დღით ადრე ბაზრის დაწყვილებისთვის ცენტრალურ ევროპაში ამოქმედდა 2021 წლის ივნისში, რომელმაც პოლონეთი და 4MMC ევროპის უდიდეს MRC ბაზართან დააკავშირა. 2022 წლის ივნისში განხორციელდა ძირითად ნაკადებზე დაფუძნებული ბაზრის დაწყვილების პროექტი, რომელიც მოიცავდა სიმძლავრის გამოთვლას და განაწილებას სინქრონულ ურთიერთდაკავშირებას ნაკადზე დაფუძნებული მიდგომებზე დაყრდნობით. პოლონეთი-გერმანიის და პოლონეთი-ჩეხეთის სინქრონული ურთიერთკავშირების დღიურ ბაზარზე სიმძლავრის განაწილება ხდება უწყვეტი ვაჭრობის რეჟიმში ევროპის დღიური ბაზრის ფარგლებში.

დაბალანსების პირობები არეგულირებს ელექტროენერგეტიკული სისტემის საბალანსო ბაზრის ფუნქციონირებას, რომელშიც წარმოდგენილი იყო 138 სუბიექტი 2022 წლის

ბოლოს. საბალანსო ბაზრის პროცესებში მონაწილეობდა 26 გენერატორი, 10 საბოლოო მომხმარებელი, 11 ქსელის მომხმარებელი, 82 სავაჭრო საწარმო, 3 ენერგეტიკული ბირჟა, 5 გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი და PSE S.A, ასევე გადამცემი სისტემის ოპერატორი. იხილეთ საბალანსო ბაზრიდან ამოღებული არაგეგმური საბალანსო ენერჯის (UBE) მოცულობა და უბალანსობის ანგარიშსწორების ფასები 2022 წლის ცალკეულ თვეებში¹.

2022 წელს მომხმარებლების მოთხოვნის დაბალანსების და შეზღუდვების აღმოფხვრის ხარჯები და ESC ხელახალი გადანაწილების შედეგად წარმოქმნილი ხარჯები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორების როლი სისტემის დაბალანსებაში მოიცავს აღრიცხვის მონაცემების მართვას და საბალანსო ბაზრის თანამართვას. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორები ვალდებულნი არიან გაატარონ გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ დაკვეთილი ღონისძიებები, გადამცემი ქსელის კოდექსის (TNC) და დაბალანსების პირობების (BC) შესაბამისად. 2022 წელს სისტემის დაბალანსებაზე გავლენა იქონია TNC, BC და DNC-ში შეტანილმა შესწორებებმა. TNC-ში შეტანილი მნიშვნელოვანი ცვლილებები მოიცავს მოთხოვნებს აქტიური სიმძლავრის შეფასებისთვის, FBA მეთოდის დანერგვის მოდიფიკაციას დღით ადრე დაწყვილებისთვის და საბალანსო ბაზრის არეალის გაფართოების შესაძლებლობას, რათა მოიცავდეს მიწოდების პუნქტს საბალანსო ბაზრის ენერჯიაზე (MB). მნიშვნელოვანი ცვლილებები DNC-ებში მოიაზრებს სხვადასხვა აქტებში შეტანილი ცვლილების ადაპტაციას, როგორცაა 2018 წლის 11 იანვრის აქტი ელექტრომობილობისა და ალტერნატიული საწვავის შესახებ, 2019 წლის 31 ივლისის აქტი, რომელიც ცვლის გარკვეულ აქტებს მარეგულირებელი ტვირთის შესამცირებლად, სიმძლავრის ბაზრის აქტი, ელექტროენერჯის სისტემის რეგულირება და დაბალანსების პირობები.

გამანაწილებელი სისტემის ოპერატორებმა, PGE Dystrybcja S.A.-ს გარდა, განაახლეს მოხმარების პროფილები 40 კვტ ან ნაკლები სიმძლავრის მქონე ელექტროენერჯის მიწოდების პუნქტებისთვის. PSE S.A აქტიურად მონაწილეობს ევროპულ პლატფორმაში უბალანსობის გაქვითვის შესახებ IGCC პროექტის ფარგლებში 2020 წლიდან, რაც ამცირებს საბალანსო ენერჯის გააქტიურებას გადამცემი სისტემის ცალკეული ოპერატორების მიერ. PSE ასევე მონაწილეობს საბალანსო ენერჯის გადადინებას სამ ევროპულ პლატფორმაში.

3.8. მიწოდებისა და მოთხოვნის ბალანსის მონიტორინგი

ახალი გენერაციის სიმძლავრეებში ენერგეტიკული კომპანიების საინვესტიციო გეგმების მონიტორინგი

2022 წელს ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტმა განიხილა 2022-2036 წლების ელექტროენერჯის გენერატორების საინვესტიციო გეგმები, რომელიც ფოკუსირებული იყო 15-წლიან პროგნოზზე. კვლევაში მონაწილეობდა 69 ენერგეტიკული კომპანია და 11 ჯგუფი, რომლებიც გეგმავენ 22 გვტ-ზე მეტი ახალი გენერაციის სიმძლავრის ექსპლუატაციაში გაშვებას 2036 წლისთვის. ყველაზე დიდი ინვესტიცია განხორციელდა ბუნებრივ გაზში, ოფშორული ქარის ელექტროსადგურებში და ფოტოელექტრულ

¹ <https://www.ure.gov.pl/pl/urzad/informacje-ogolne/komunikaty-prezesa-ure/10934,Informacja-nr-112023.html>

სისტემაში. თუმცა, ახალი სიმძლავრის ხელმისაწვდომობა დამოკიდებული იქნება ამინდის პირობებზე და იქნება უფრო დაბალი, ვიდრე ტრადიციულ ნახშირზე მომუშავე დანადგარების შემთხვევაში. გენერატორების გამოყენება ექსპლუატაციიდან გამოიყვანს დაახლოებით ქვანახშირისა და მურა ნახშირის 20 გვტ სიმძლავრის ენერგობლოკს ეკონომიკური ეფექტურობისა და ტექნოლოგიური ცვეთის მოტივით. ნახშირზე მომუშავე გენერატორის წილი 2022-2036 წლებში შემცირდება, ხოლო გაზზე მომუშავე აგრეგატებისა კი გაიზრდება. გამომამუშავებელი სიმძლავრის ფაქტობრივი ბალანსის შესაფასებლად გამოყენებული იქნება ხელმისაწვდომობის მაკორექტირებელი კოეფიციენტები (CAC). ამ კოეფიციენტების გამოყენების შემთხვევაში, დაახლოებით დაგეგმილი დამატებითი 22 გვტ სიმძლავრის 12.6 გვტ გახდება ხელმისაწვდომი.

2022 წელს პოლონეთის სიმძლავრის ბაზარი უცვლელი დარჩა, ცვლილებები ასევე არ იქნა შეტანილი ევროპულ და ეროვნულ სამართლებრივ დებულებებში. პოტენციური უცხოური სიმძლავრის პროვაიდერების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ბაზარზე მონაწილეობენ სინქრონული პროფილის ზონაში ლიეტუვასა და შვედეთში მდებარე უცხოელი პროვაიდერები². ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტმა გამოაცხადა 2026³ წლის ძირითადი აუქციონის, 2023⁴ წლის დამატებითი აუქციონის საბოლოო შედეგები და კლიმატისა და გარემოს დაცვის მინისტრს წარუდგინა მოთხოვნა სიმძლავრის მოთხოვნის მოცულობასთან დაკავშირებით. პრეზიდენტმა ასევე უპასუხა შეკითხვებს ზოგადი სერტიფიცირებასთან დაკავშირებული ვალდებულების, აუქციონზე სერტიფიცირების, სიმძლავრის საფასურის განაკვეთების, დღის შერჩეული საათებისა და სიმძლავრის საფასურის შეგროვების შესახებ. PSE S.A.-ს ინფორმირებული იყო 2022 წელს ზოგადი სერტიფიცირების, 2027 წლის აუქციონზე სერტიფიცირების, 2023 წლის დამატებითი აუქციონებისა და ძირითადი აუქციონის პარამეტრების შესახებ. 2022 წლის 29 დეკემბერს ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტმა დაამტკიცა ცვლილებები სიმძლავრის ბაზრის წესებში⁵.

3.9. ზოგადი სერტიფიცირება 2022 წელს

ზოგადი სერტიფიცირების პროცესი ფიზიკური გენერაციის ობიექტების მფლობელებს ავალდებულებს რეგისტრაციის განაცხადი წარადგინონ ოპერატორთან, უზრუნველყონ

² მონაწილეობისთვის აუცილებელი პირობაა ხელშეკრულებების გაფორმება პოლონეთის გადამცემი სისტემის ოპერატორსა და ზემოაღნიშნული ზონების ოპერატორებს შორის. სინქრონული პროფილის შემთხვევაში, ისინი უნდა იყვნენ ყველა გადამცემი სისტემის ოპერატორები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული NES-თან. იმის გამო, რომ 2021 წლის ბოლომდე ზემოაღნიშნული პირობა არ შესრულებულა, პოლონეთის სიმძლავრის ბაზარზე მონაწილეობა შეეძლოთ მხოლოდ იმ პროვაიდერებს, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ სისტემებთან პირდაპირი დენის ურთიერთდაკავშირებით NES-თან, კერძოდ, შვედეთიდან და ლიეტუვადან. მოლაპარაკებების დაჩქარების მიზნით, ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტი, გერმანიის მარეგულირებელ BNetzA-სთან ერთად, შეუერთდა ოპერატორებს შორის შეთანხმების პროცესს, რამაც უზრუნველყო ხელშეკრულების გაფორმება 2022 წლის 12 აგვისტოს, რაც სინქრონული პროფილის ზონაში მდებარე სიმძლავრის პროვაიდერებს საშუალებას აძლევდა მონაწილეობა მიედლო წინასწარ აუქციონში და, შედეგად, ძირითად აუქციონში მიწოდების 2027 წლისთვის.

³ ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტის ინფორმაცია #2/2022.

⁴ ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტის ინფორმაცია #19/2022.

⁵ <https://bip.ure.gov.pl/bip/rynek-mocy/3674,Regulamin-ryнку-mocy.html>

მათი მონაწილეობა ძირითად ან დამატებით აუქციონებში და შექმნან სიმძლავრის ბაზრის ერთეულები. მონაწილეობა ნებაყოფლობითია, გარდა იმ ობიექტებისა, რომელთა მთლიანი სიმძლავრის არანაკლებ 2 მგვტ-ია. 2022 წელს 1412 განაცხადი იქნა წარმოდგენილი და დარეგისტრირდა 1379 ობიექტი, რის შედეგადაც გენერაციის ნეტო სიმძლავრე 3,7%-ით გაიზარდა.

2022 წელს სიმძლავრის ბაზარზე პროცესები წარმატებით წარიმართა. 2027 წლის მთავარი აუქციონი დასრულდა პირველივე რაუნდში, რის შედეგადაც დაფიქსირდა კლირინგის რეკორდული ფასი 1.49%⁶. ეს გამოწვეულია პოლონეთის ელექტროენერჯის გენერაციის სტრუქტურით, სადაც დომინირებს ისეთი წყაროები, რომლებიც არ აკმაყოფილებს გაფრქვევების ლიმიტებს. ევროპაში გაურკვეველმა ეკონომიკურმა ვითარებამ, მათ შორის გაზის ფასის რყევებმა უკრაინის ომის შედეგად, გავლენა მოახდინა სიმძლავრის მიწოდებაზე. თუმცა, გაფორმდა კონტრაქტები განახლებადი ენერჯის წყაროებზე და ენერჯის საცავზე, რომლის წილი -1500 მეგავატი უცვლელი დარჩა 2026 წელთან შედარებით.

3.10. ტრანსსასაზღვრო საკითხები

2022 წელს ევროკავშირმა და მესამე ქვეყნების ოპერატორებმა დაადგინეს ურთიერთკავშირის გადადინების ტექნიკური შესაძლებლობები ზამოჩ-დობროტცორის (უკრაინა) ხაზისთვის, შვედეთისა და ლიეტუვასთვის და 220 კვ ზამოჩ-დობროტცორის მოქმედი რადიალური ხაზისთვის. თითოეული შემთხვევისთვის გამოყენებულ იქნა NTC მეთოდი, თუმცა დღიურ ჭრილში FBA მეთოდმა ჩაანაცვლა NTC მეთოდი. პოლონეთი-უკრაინის ურთიერთდამაკავშირებელი ხაზის გადამცემი სიმძლავრე ხელმისაწვდომი იყო ყოველთვის ურად ღია აუქციონებით.

2022 წელს პოლონეთის საზღვრებზე კომერციულ ბალანსში ელექტროენერჯის ექსპორტი 26%-ით გაიზარდა წელთან შედარებით, რაც ჯამში 11,763.9 გვტ.სთ-ს შეადგენდა. მცირედით შემცირდა იმპორტი და ჯამში შეადგინა 9 911.3 გვტ.სთ. ეს ზრდა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო დასავლეთის ქვეყნებში ელექტროენერჯის და ევროპის ბაზრებზე გაზის გაძვირებით. ელექტროენერჯის დაუგეგმავმა ნაკადებმა სინქრონულ საზღვრებზე შეამცირა გადაცემის სიმძლავრე⁷.

გერმანიასთან, ჩეხეთთან და სლოვაკეთთან არსებულ ელექტროენერჯეტიკის სისტემას გააჩნია ტექნიკური პროფილი იმგვარი ურთიერთდამაკავშირებლებით, რომლებსაც აქვთ საერთო შეზღუდვა კომერციული ტრანზაქციებისთვის. NTC წილი გაანგარიშებული იყო 2022 წლის 8 ივნისამდე, FBA სიმძლავრის გამოთვლამდე.

პოლონეთ-ლიეტუვის ურთიერთდამაკავშირებელმა და შვედეთი-ლიეტუვა- და ლიეტუვა-შვედეთის ტრანზიტებმა მიაღწია მაქსიმალურ მოცულობას - 592 გვტ-სა და 492 გვტ-ს, რაც

⁶ სიმძლავრის ბაზრის აქტის 29(4)-ე მუხლის შესაბამისად, დამატებითი აუქციონები ტარდება იმ წლის წინა წელს, რომელზეც მოდის თითოეული ამ აუქციონის მიწოდების ვადები, ხოლო დამატებითი აუქციონები მიწოდების ყველა პერიოდისთვის ერთდროულად ტარდება.

⁷ წყარო: ენერჯეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტი PSE S.A-ს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

ძირითადად ლიეტუვა-შვედეთის ურთიერთდამაკავშირებლის ხელმისაწვდომობით იყო განპირობებული. თუმცა, ეს მაჩვენებლები არ მოიცავს შვედეთი-ლიეტუვა და ლიეტუვა-შვედეთის ტრანზიტების განაწილებულ სიმძლავრეს დღით ადრე დაწყვილების ერთჯერადი აუქციონების დაწყების გამო.

2022 წელს გადაცემის მომსახურებები ტრანსსასაზღვრო გადადინებაში უცვლელი დარჩა სიმძლავრის ან ქსელის გაუმართაობის გამო. სინქრონულ და შვედეთი-ლიეტვის ურთიერთკავშირებს არ ჰქონდათ სიმძლავრის შეზღუდვა. პოლონეთი-უკრაინის ურთიერთდამაკავშირებისას არ შეინიშნებოდა ავარიული გათიშვა, რამაც გამოიწვია დაგეგმილი მიწოდების შემცირება.

3.11. გზამკვლევებისა და ქსელის კოდექსების იმპლემენტაცია

2022 წელს დასრულდა მოთხოვნის მხარის რეაგირების შესახებ ACER-ის ჩარჩო დოკუმენტზე მუშაობა 2015/1222 რეგულაციაში ცვლილებების შეტანისა და 2019/943 რეგულაციებით დანერგილი დებულებების გადახედვის შემდეგ⁸. სიმძლავრის გამოთვლის რეგიონების (CCR) განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე საჭირო ხდება გადამცემი სისტემის ოპერატორებსა და ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს შორის თანამშრომლობის დამყარება⁹. პოლონეთის სატენდერო ზონის საზღვრები ენიჭება სამ დამოუკიდებელ სიმძლავრის გამოთვლის რეგიონს და 2017/2195 რეგულაცია განსაზღვრავს შესაბამის გეოგრაფიულ ზონას და სინქრონულ არეალს. 2017/1485 რეგულაცია გამოჰყოფს დატვირთვის სიხშირის კონტროლის ბლოკს (LFC ბლოკი), როგორც სინქრონული არეალის ნაწილს.

3.12. მიერთების კოდექსების იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე

2022 წლის თებერვალში ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტმა მიიღო განაცხადები ორი D ტიპის ელექტროენერჯის გენერაციის მოდულის მფლობელისგან გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ გაცემული შუალედური საოპერაციო შეტყობინების (ION) მოქმედების ვადის გახანგრძლივების შესახებ¹⁰. ION საშუალებას აძლევს მფლობელს მართოს მოდული და გამოიმუშაოს ენერჯია ქსელთან მიერთების გზით შეზღუდული პერიოდის განმავლობაში, და ექვემდებარება მონაცემთა შემოწმების და კვლევის პროცესს. ION სტატუსის შენარჩუნების მაქსიმალური ვადა 24 თვეა. ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტმა გადაწყვიტა ამ ვადის გახანგრძლივება და ინფორმაცია გადახრების შესახებ შეტანილი იქნა ქსელის კოდექსის მიერთების მოთხოვნებიდან გადახვევის რეესტრში. 2022 წლის მეოთხე კვარტალში ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტმა მიიღო მოთხოვნა 2016/631 რეგულაციის

⁸https://acer.europa.eu/sites/default/files/documents/Official_documents/Acts_of_the_Agency/Framework_Guidelines/-Framework%20Guidelines/FG_DemandResponse.pdf

⁹https://acer.europa.eu/sites/default/files/documents/Official_documents/Acts_of_the_Agency/Framework_Guidelines/-Framework%20Guidelines/FG_DemandResponse.pdf

¹⁰ D-ტიპში შედის გენერაციის მოდულები მაქსიმალური სიმძლავრით 75 მეგავატი და ზემოთ, ისევე როგორც ყველა გენერაციის მოდული, მიუხედავად მათი მაქსიმალური სიმძლავრისა, თუ ძაბვა მათ მიერთების წერტილში არის მინიმუმ 110 კვ.

გარკვეული მოთხოვნებიდან გადახრის შესახებ¹¹. 2022 წლის სექტემბერში ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტმა მიიღო მოთხოვნა გამანაწილებელი სისტემის ოპერატორისგან ახალი მიერთების ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების შესახებ. 2022 წლის ოქტომბერში გამანაწილებელი სისტემის ოპერატორმა წარადგინა მოთხოვნა განხილვის შესახებ, რათა დადგინდეს, აკმაყოფილებს თუ არა ელექტროენერჯის გენერაციის მოდული არსებული ან ახალი 2016/631 რეგულაციის ფარგლებში აღიარების მოთხოვნებს.

3.13. ელექტრომობილობა

2022 წელს ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტმა დაიწყო ორი ადმინისტრაციული წარმოება გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანისა და მუნიციპალიტეტში ენერგოკომპანიის საჯარო დასამუხტი სადგურების ოპერატორად და დამუხტვის მომსახურების მიმწოდებლად დანიშვნის მიზნით. პირველი წარმოებაზე ზოგიერთი საჯარო დასამუხტი სადგური სარეზერვო სადგურებით ჩანაცვლდა, ხოლო მეორე წარმოება შეწყდა ელექტრომობილობის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილების 25-ე მუხლის ძალაში შესვლის გამო. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორმა დაადასტურა ისეთი საჯარო დასამუხტი სადგურების არარსებობა, რომლებიც აკმაყოფილებს ელექტრომობილობის შესახებ კანონის ცვლილების 25-ე მუხლის მოთხოვნებს, რაც არ წარმოადგენდა საფუძველს ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტისთვის, რომ დაენიშნა კომპანია, რომელიც შეასრულებდა საჯარო დასამუხტი სადგურის ოპერატორის და დამუხტვის მომსახურების მიმწოდებლის ფუნქციას. ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტმა ოთხი ოპერატორისთვის დაამტკიცა ტენდერის საერთო პირობები საჯაროდ ხელმისაწვდომ დასამუხტი სადგურების გაყიდვასთან დაკავშირებით, თუმცა ეს წარმოება არ დასრულებულა 2022 წელს¹².

3.14. კონკურენცია და ბაზრის ფუნქციონირება

3.14.1. საბითუმო ბაზარი

2022 წელს ელექტროენერჯის მთლიანი შიდა წარმოება გაიზარდა 0,9%-ით 173 157 გვტ.სთ-მდე, ხოლო მოხმარება შემცირდა 0,53%-ით. 2022 წელს მშპ 4 პროცენტული პუნქტით აღემატებოდა ელექტროენერჯის შიდა მოხმარების ზრდას¹³. იმპორტმა შეადგინა მთლიანი შემოდინების 8.0%, ხოლო ექსპორტმა 8.9%. განახლებადი ენერჯის წყაროები კი გაიზარდა 3%-დან 5%-მდე. შესაბამისად, სახელმწიფო ელექტროენერგეტიკის სისტემის დადგმული სიმძლავრე 2021 წელთან შედარებით 12.7%-ით და 9.6%-ით გაიზარდა. საშუალო წლიური სიმძლავრეზე მოთხოვნა შემცირდა 1.20%-ით და 1.16%-ით, ხოლო ხელმისაწვდომი

¹¹ <https://bip.ure.gov.pl/bip/rejestr-y-i-bazy/rejestr-odstepstw-od-wymogow-p/4301,Rejestr-odstepstw-od-wymogow-przylaczeniowych-kodeksow-sieciowych.html>

¹² 2021 წლის 2 დეკემბრის აქტი, რომელიც ცვლის ელექტრომობილობისა და ალტერნატიული საწვავის შესახებ აქტს და გარკვეულ სხვა აქტებს (2021 წლის კანონთა ჟურნალი, პუნქტი 2269), შემდგომში: „ელექტრომობილობის შესახებ აქტის ცვლილება“.

¹³ <https://stat.gov.pl/obszary-tematyczne/rachunki-narodowe/roczne-rachunki-narodowe/produkt-krajowy-brutto-w-2022-roku-szacunek-wstepny,2,12.html>

სიმძლავრის გენერაციის სიმძლავრესთან თანაფარდობა 5.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

3.14.2. ენერგეტიკული საბითუმო ბაზრის სუბიექტების სტრუქტურა

2022 წელს PGE Polska Grupa Energetyczna S.A. ჯგუფი ფლობდა ყველაზე დიდ საბაზრო წილს ელექტროენერჯის წარმოების ქვესექტორში და ინარჩუნებდა წამყვან პოზიციას საბოლოო მომხმარებლებზე გაყიდვების ბაზარზე. გაიზარდა Orlen Group-ის მნიშვნელობა ეროვნულ ელექტროსისტემაში (NES) მიწოდებული ენერჯის თვალსაზრისით. ბაზრის სამი უმსხვილესი მონაწილის საბაზრო წილის კოეფიციენტი მცირედით შემცირდა 66.1%-მდე, სამი უმსხვილესი გენერატორის დადგმული სიმძლავრის 6.2 პროცენტული პუნქტით შემცირებით. თუმცა, PKN Orlen S.A-მ მნიშვნელოვნად გააძლიერა თავისი პოზიცია ბაზარზე, შეიძინა გენერატორები PGNiG S.A. ჯგუფისგან. დადგმული სიმძლავრისა და ქსელში მიწოდებული ელექტროენერჯის კონცენტრაციის კოეფიციენტი დაბალი დარჩა, რაც ასახავდა წიაღისეული საწვავიდან და განახლებადი წყაროებიდან ელექტროენერჯის წარმოების დინამიკას. კონცენტრაციის ინდექსების შემცირება ძირითადად განპირობებული იყო მცირე, გავრცობილი განახლებადი ენერჯის წყაროების ზრდით და ორგანიზაციული ცვლილებებით წარმოების სექტორში.

3.14.3. ელექტროენერჯის რეალიზაცია ბაზრის შესაბამის სეგმენტებში

ევროპის ელექტროენერგეტიკული ბაზრის სტრუქტურა და მექანიზმები კონკურენტული ბაზრების მსგავსია, რაც უზრუნველყოფს არადისკრიმინაციულ წვდომას ელექტროენერჯის შესყიდვისა და გაყიდვის სხვადასხვა ფორმებზე.

3.15. ელექტროენერჯის შესყიდვა ბაზრის შესაბამის სეგმენტებში

2022 წელს ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტმა გამოაქვეყნა ფასების სამი ინდექსი: ელექტროენერჯის გაყიდვის საშუალო წლიური და კვარტალური ფასი კონკურენტულ ბაზარზე და ელექტროენერჯის საშუალო კვარტალური ფასი, რომელიც გაიყიდა ენერგეტიკის შესახებ კანონის 49(ა)-ე მუხლით გათვალისწინებული პირობებისგან განსხვავებული პირობებით. ელექტროენერჯის გაყიდვის საშუალო წლიური ფასი კონკურენტულ ბაზარზე შეადგენდა 523,71 პოლონური ზლოტი/მგვტსთ, რაც 36,3%-ით აღემატება 2022 წელს ელექტროენერჯის საბაზისო მიწოდების წლიური ხელშეკრულების საშუალო შეწონილ ფასს (BASE_Y-22), რომელიც კოტირებულია TGE S.A. სასაქონლო ფორვარდული ინსტრუმენტების ბაზარზე (CFIM)/ელექტროენერჯის ფორვარდულ ბაზარზე (EFM OTF) და 52.8%-ით დაბალია, ვიდრე წლიური საშუალო შეწონილი ფასი 2023 წელს საბაზისო დატვირთვის მიწოდებით (BASE_Y-23), რაც კოტირებულია TGE S.A-ზე EFM OTF-ზე. ფასი განისაზღვრება საჯარო საწვავისა და ენერჯის სტატისტიკის სისტემისა და TGE S.A., EPEX SPOT SE (EPEX/EEX) და NORD POOL-ისგან მიღებული მონაცემების საფუძველზე. კონკურენტულ ბაზარზე ელექტროენერჯის გაყიდვის საშუალო წლიური

ფასის განსაზღვრის ალგორითმი წარმოდგენილია ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტის ინფორმაციაში აღნიშნული ფასის ოდენობის შესახებ¹⁴.

3.16. საცალო ბაზარი

2022 წელს საცალო ბაზარზე ფიქსირდებოდა 17.3 მილიონი მომხმარებელი, რომელთა 90.7% ყიდულობდა ენერგიას საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის. დანარჩენი კლიენტები იყვნენ A, B და C სატარიფო ჯგუფების მომხმარებლები. მომხმარებლებს აქვთ უფლება მიიღონ უწყვეტი და საიმედო ელექტროენერგია მათ მიერ არჩეული ენერგო მიმწოდებლისგან. ელექტროენერგიის საცალო ბაზარი მოიცავს ხუთ მსხვილ გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს (DSOp) და 182 გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს (DSOn), რომელთაგანაც DSOn ოპერირებს ვერტიკალურად ინტეგრირებულ საწარმოებში. მიწოდების მხარე შედგება ენერგიის მიმწოდებლებისგან, რომლებიც სთავაზობენ მომსახურებას საბოლოო მომხმარებელს. მიმწოდებლები არ არიან ვალდებული წარუდგინონ ელექტროენერგიის ტარიფები ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტს დასამტკიცებლად, ხოლო საყოფაცხოვრებო ტარიფები მტკიცდება სტანდარტული მიმწოდებლის და მათი მოთხოვნით, ვინც გადაწყვეტს არ შეცვალოს მიმწოდებელი.

3.16.1. ფასების დონის, გამჭვირვალობის დონის, ბაზრის გახსნისა და კონკურენციის დონისა და ეფექტიანობის მონიტორინგი

2022 წელს საბითუმო ბაზრებზე ენერგიის ფასების ზრდამ გავლენა მოახდინა საცალო ბაზარზე, მაგრამ პოლონეთის საცალო ენერგეტიკული ბაზარი გადაურჩა ფართომასშტაბიან გაკოტრებას ეროვნული ენერგეტიკული კანონმდებლობისა და ელექტროენერგიით ვაჭრობის სფეროში ბიზნესის წარმართვის ფინანსური სიცოცხლისუნარიანობის შეფასების მიზნით მაღალი სტანდარტების გამოყენების შესახებ ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტის გრძელვადიანი პოლიტიკის გამო. ბოლო ალტერნატივის მიწოდებასთან დაკავშირებული გადაწყვეტები ამოქმედდა ეფექტურად, რაც უზრუნველყოფდა მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტობას. 2022 წლის მეოთხე კვარტალში ენერგიის საშუალო ფასი 69,6%-ით ხოლო განაწილების საფასური საშუალოდ 14,8%-ით გაიზარდა. ფასების ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა შეეხო მომხმარებლებს C სატარიფო ჯგუფში და საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს. ელექტროენერგიის მიწოდების ღირებულება საშუალოდ 47,32%-ით გაიზარდა, ასევე განაწილების საფასურიც საშუალოზე მეტად გაიზარდა. მარეგულირებელმა გამოაქვეყნა შინამეურნეობებისთვის შეთავაზებების შეჯამება, მაგრამ ახალი ინსტრუმენტი არ ამოქმედდა.

2022 წელს საბოლოო მომხმარებლისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობა ბაზრის პირობებში 54,89%-ით გაიზარდა, ამასთან მომხმარებელთა მიერ მიმწოდებლის შეცვლის უფლება გაიზარდა 1,21 პროცენტული პუნქტით. მომხმარებელთა რიცხვი,

¹⁴ ინფორმაცია წლიური და კვარტალური ფასების შესახებ განცხადებებთან ერთად შეგიძლიათ იხილოთ ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის ვებგვერდზე: <https://www.ure.gov.pl/pl/energia-elektryczna/ceny-wskazniki/7852,Srednia-cena-sprzedazy-energii-elektrycznej-na-rynku-konkurencyjnym-roczna-i-kwa.html>

რომლებიც იყენებდნენ მიმწოდებლის შეცვლის უფლებას 2021 წელთან შედარებით 3,62%-ით გაიზარდა. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შინამეურნეობების თითქმის 60%-მა იყიდა ენერჯია დამტკიცებული ტარიფებით, ხოლო 40%-მა შეიძინა ენერჯია საბაზრო შეთავაზებებით. პოლონეთში დინამიური ფასების ვარიანტები ფართოდ არ იყო შემოთავაზებული, მაგრამ საკანონმდებლო და ორგანიზაციული სამუშაოები ტარდება მათი განსახორციელებლად.

2022 წელს ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტმა მიიღო მომხმარებელთა მოთხოვნები ხელშეკრულების პირობებში, ბილინგსა და ინვოისებში ჩარევის შესახებ. მომხმარებლებმა პრეზიდენტს აცნობეს ხელშეკრულების შეწყვეტასთან, სანქციების საფასურთან და ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული პრობლემების, ასევე კონტრაქტის გაფორმების პროცესში დარღვევების შესახებ. ამასთან მომხმარებელთა საჩივარი ეხებოდა ანგარიშსწორების წესებისა და ფასების დადგენას. თუმცა, შეინიშნებოდა მომხმარებელთა შეტყობინებების შემცირება ელექტროენერჯის მიმწოდებლის შეცვლასთან დაკავშირებული არასამართლიანი ბაზრის პრაქტიკის შესახებ. ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტმა საჩივრები გადაუგზავნა კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ოფისის პრეზიდენტს (UOKiK). ელექტროენერჯის საბითუმო ფასების გაზრდის გამო, სტანდარტულმა მომწოდებლებმა თავი აარიდეს თავიანთი ვალდებულების შესრულებას, რომ მიეყიდათ ელექტროენერჯია საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის დამტკიცებული ტარიფით. დაზუსტდა რეგულაციები ვერტიკალურად ინტეგრირებულ საწარმოებში მომწოდებლების ფუნქციების შესახებ და დაემატა რეგულაციები, იმ სუბიექტების განსაზღვრის მიზნით, რომლებიც ვალდებულნი არიან გააგრძელონ ოპერაციები გაყიდვების შეწყვეტის შემთხვევაში. ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტმა ჩაატარა ბოლო ალტერნატივის მიწოდების ოპერაციების ციკლური შემოწმება და გამოიყენა შედეგები ახალი მოდელის შესაქმნელად.

2022 წელს პოლონეთში ჭკვიანი აღრიცხვის სისტემების რაოდენობა 21%-მდე გაიზარდა მომხმარებელთა ყველა ჯგუფში. მთავრობა მიზნად ისახავს ამ გადაწყვეტების ამოქმედებას მომხმარებელთა 80%-ის შემთხვევაში 2028 წლისთვის. თუმცა, ელექტროენერჯის 200 865 მომხმარებელს, მათ შორის 139 237 საყოფაცხოვრებო აბონენტს, საფასურის გადახდის დაგვიანების გამო შეუწყდა ელექტროენერჯის მიწოდება. ელექტროენერჯის შეწყვეტის ყველაზე გავრცელებული მიზეზი დავალიანება იყო. ენერგოკომპანიებმა მიწოდების შეწყვეტამდე უნდა აცნობონ მომხმარებლებს ალტერნატივების შესახებ და პროცესს საშუალოდ 18 დღე დასჭირდა. ასევე მიმდინარეობს წინასწარი გადახდის მრიცხველების დამონტაჟება, რაც მომხმარებლებს დაეხმარება დაგვიანებული გადასახადების გადახდაში. 2022 წელს C სატარიფო ჯგუფის 179 935 შინამეურნეობამ და 1921 აბონენტმა ისარგებლა წინასწარი გადახდის მრიცხველებით. მთავრობის სტრატეგიული დოკუმენტი პოლონეთის ენერგეტიკული პოლიტიკის შესახებ და ენერგეტიკის შესახებ კანონი შემდგომ მხარდაჭერას უწყევს ჭკვიანი აღრიცხვის სისტემების განვითარებას.

პოლონეთში მოწყვლად მომხმარებელთა დაცვის სისტემა დაკავშირებულია სოციალური კეთილდღეობის სისტემასთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტები გამოყოფს ფინანსურ დახმარებას მოწყვლადი მომხმარებლებისთვის მოხმარებული ენერჯის

ხარჯების დასაფარად. 2022 წელს მხოლოდ 18,100-მა უფლებამოსილმა მომხმარებელმა მიიღო ეს შეღავათები, მაშინ როდესაც 2021 წელს 71,900-მა ისარგებლა აღნიშნული შემწეობით. გამოყენების ასეთი დაბალი მაჩვენებელი განპირობებული იყო 2021 წლის 17 დეკემბრის შემწეობის აქტის მიღებით, რომელმაც შეაჩერა განაცხადების დამუშავება დახმარების მისაღებად. აღნიშნულმა აქტმა ჩაანაცვლა დახმარებები მოხმარებული ენერჯის ხარჯების დასაფარად და იცავდა დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახებს ხარჯების ზრდისგან. 2022 წელს ოთხ მილიონმა შინამეურნეობამ მიიღო შემწეობა, რაც საერთო ჯამში დაახლოებით 2,5 მილიარდ პოლონურ ზლოტს შეადგენდა. მომწოდებლები ასევე უზრუნველყოფენ სოციალურად დაუცველი მომხმარებლების დაცვას ვადაგადაცილებული და მიმდინარე დავალიანებისგან.

3.17. მომხმარებელთა დაცვა და დავების მოგვარება

ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტს შეუძლია გადაჭრას: ქსელთან მიერთების შესახებ კონტრაქტის გაფორმებაზე უარის თქმასთან, მათ შორის მიერთების სიმძლავრის გაზრდასთან, გაყიდვების კონტრაქტებთან, გადაცემის ან განაწილების მომსახურებებთან, ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების მომსახურებასთან, საცავის მომსახურებასთან, ბუნებრივი გაზის გათხევადებასთან და ყოვლისმომცველ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავები. მოლაპარაკებების კოორდინატორი ასევე თანამშრომლობს მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტთან და ახდენს დავების სასამართლოს გარეშე გადაწყვეტას მომხმარებლებს, განახლებადი ენერჯის პროსიუმერსა და ენერგეტიკულ კომპანიებს შორის. კოორდინატორის ფუნქციებში შედის ელექტროენერჯის ან გაზის ქსელთან მიერთებასთან, მომსახურების მიწოდებასთან, გაყიდვებთან და ყოვლისმომცველ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტა. პოლონეთში მუნიციპალური და რაიონული მომხმარებელთა ომბუდსმენები მომხმარებლებს უწევენ უფასო კონსულტაციებს და აძლევენ იურიდიულ რჩევებს მომხმარებელთა ინტერესების შესახებ.

ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტი აკონტროლებს მომხმარებელთა მხრიდან გამოვლენილ დარღვევებს ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, თანამშრომლობს UOKiK-ის პრეზიდენტთან და უზრუნველყოფს მომხმარებელთა ცნობიერებას ამაღლებას ენერჯისა და აირადი საწვავის მომხმარებელთა საინფორმაციო პუნქტის მეშვეობით. ამ პუნქტის მთავარი მიზანია ინფორმაციის მიწოდება მომხმარებლის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ენერგეტიკულ კომპანიებთან მიმართებით. 2022 წელს პრეზიდენტმა ასევე ჩაატარა საინფორმაციო აქტივობები საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის, გამოაქვეყნა ინფორმაცია ძირითადი პრობლემების შესახებ, რამაც გამოიწვია დავა ენერგოკომპანიებსა და აირადი საწვავისა და ელექტროენერჯის საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს შორის. ენერგეტიკის შესახებ კანონის თანახმად საწვავის და ენერჯის მომხმარებლები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რაც აცალკევებს საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს საწვავის და ენერჯის მომხმარებლებისგან. პრეზიდენტმა ელექტროენერჯის მიწოდების შეჩერების რისკის ქვეშ მყოფ მომხმარებლებს მიაწოდა ინფორმაცია ენერგეტიკული კანონის შესაბამისად მათი უფლებების შესახებ და ასევე გაატარა სპეციალური ზომები ენერგოკომპანიებთან ფაქტების დადგენის, საქმეების

მშვიდობიანად მოგვარების, შესაბამისობის აღსრულების ან მხარეების დაახლოვების მიზნით.

ენერგეტიკის შესახებ კანონი ელექტროენერჯის ან აირადი საწვავის მომწოდებლებს ავალდებულებს, რომ მომხმარებლებს აცნობონ წინა წელს ენერჯის მოხმარების, მათი სატარიფო ჯგუფისთვის საშუალო მოხმარებისა და ენერგოეფექტურობის ზომების შესახებ. ინვოისის გაცემისას კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია ელექტროენერჯის მოხმარების მოცულობის, ელექტროენერჯის აღრიცხვისა და ანგარიშსწორების სისტემის, მოხმარების განსაზღვრის მეთოდისა და ელექტროენერჯის მიწოდების შეფერხებების დასაშვები ხანგრძლივობის შესახებ. ეს ყოველივე კი უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას ენერგეტიკის ინდუსტრიაში.

2022 წელს მომხმარებლებმა წარმოადგინეს არაერთი საჩივარი ენერგეტიკული კომპანიების მიმართ, ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტმა კი განიხილა ქსელთან მიერთებასთან, აღრიცხვასთან, მიწოდების ხარისხთან, არასამართლიანი ბაზრის პრაქტიკასა და კონტრაქტების გაფორმებასთან დაკავშირებული საკითხები. საყოფაცხოვრებო მომხმარებლებთან საწარმოს ტერიტორიის გარეთ ენერგეტიკისა და გაზის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ საკანონმდებლო აკრძალვამ საჩივრების შემცირება გამოიწვია. საჩივრები ასევე მოიცავდა ხელშეკრულების გაფორმების პროცესთან დაკავშირებულ დარღვევებს, როცა მომხმარებელთა მომსახურების აგენტები ვერ უზრუნველყოფდნენ ხარჯებისა და დამატებითი მომსახურებების შესახებ სრული ინფორმაციას წარდგენას. საჩივრები ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორცაა შეწყვეტის შემდეგ მიწოდების განახლება, გადასახადის გადაუხდელობის ან დაგვიანების გამო მიწოდების შეჩერება, გაცემული ინვოისები/ქვითრები და დავალიანების დაფარვა, ფასი/ტარიფი, კომპენსაცია, მიმწოდებლის შეცვლა, კლიენტთა მომსახურება და მიკროგენერაცია/აქტიური მოხმარება. მარეგულირებელი ოფისის პრეზიდენტის გადაწყვეტილებები მიზნად ისახავდა საჩივრებით გათვალისწინებული საკითხების გარკვევას და ენერგეტიკული ბაზრის შეუფერხებლად ფუნქციონირების უზრუნველყოფას.

3.18. თვითგენერირებული ელექტროენერჯის მოხმარებასა და მოქალაქეთა ენერგეტიკული გაერთიანებების განვითარებასთან დაკავშირებული დაბრკოლებები და შეზღუდვები

2018-2022 წლებში პროსიუმერის¹⁵ ენერჯია, განახლებადი წყაროებიდან ელექტროენერჯის თვითმომხმარება მნიშვნელოვნად გაიზარდა ელექტროენერჯის დადგმულ სიმძლავრეში

¹⁵ მომხმარებელი, რომელიც განახლებადი ენერჯის წყაროებიდან აწარმოებს ელექტროენერჯის ექსკლუზიურად საკუთარი მოხმარებისთვის მიკროდანადგარის საშუალებით (განახლებადი ენერჯის წყაროს დანადგარი, რომლის ჯამური დადგმული სიმძლავრე არ აღემატება 50 კვტ), იმ პირობით, რომ საბოლოო მომხმარებლის შემთხვევაში, რომელიც არ არის ელექტროენერჯის საყოფაცხოვრებო მომხმარებელი, ეს არ წარმოადგენს მის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას.

0,35 გვტ-დან 9,3 გვტ-მდე¹⁶. 2022 წელს დაინერგა ახალი სისტემა, „ნეტო-ბილინგი“, რომლის მეშვეობითაც ხდება ჭარბ ენერგიაზე თანხის დარიცხვა ქსელში ენერჯის საშუალო საბაზრო ფასის მიხედვით წინა კალენდარული თვისა და დინამიური ტარიფების გამოყენებით. ამ სისტემამ გაზარდა გამომუშავებული ელექტროენერჯის თვითმომხმარებლის როლი. თუმცა, სახელმწიფო ელექტროსისტემაში მიკროდანადგარის სიმძლავრის ინტეგრაციასთან დაკავშირებულმა სირთულეებმა განაპირობა პროსიუმერის ენერგეტიკულ რეგულაციებში ცვლილების შეტანის აუცილებლობა. მთავარი გამოწვევას ენერგეტიკული კოოპერატივის შექმნა წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს საწყისი შემადგენლობისა და გამომუშავების სიმძლავრის განსაზღვრას, ენერჯით ვაჭრობის წესების შემუშავებას, განვითარების გეგმის შედგენას, მოლაპარაკებებს კონტრაქტების შესახებ და კოოპერატივის მართვას. განახლებადი ენერჯის წყაროების აქტი ასევე მოიცავს ენერგეტიკული კლასტერის განმარტებას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა იურიდიული და ორგანიზაციული სტატუსის მქონე სუბიექტებს მოთხოვნის წარმოებასა და დაბალანსებაში, განაწილებაში ან განახლებადი წყაროებიდან ან სხვა წყაროებიდან მიღებული ენერჯით ან საწვავით ვაჭრობაში.

ენერგეტიკის განვითარება, მათ შორის პროსიუმერის ენერჯის განვითარება, მნიშვნელოვნად ცვლის განაწილების სექტორს. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორები ახლა პოზიციონირებენ, როგორც ბაზრის ფასილიტატორები და მათი ეფექტიანობა განსაზღვრავს ბაზრის ფუნქციონირებას. ეს მოიაზრებს ინიციატივებს, როგორცაა მოქალაქეთა ენერგეტიკული გაერთიანებები და აგრეგატორები, რომლებიც გვთავაზობენ ელექტროენერჯის მოხმარების შემცირების მომსახურებებს. გამანაწილებელმა კომპანიებმა მხარი უნდა დაუჭირონ ყველა ფორმის გაერთიანების, საზოგადოებისა და კლასტერების განვითარებას, რადგან მხოლოდ ასეთ მოქალაქეთა ენერგეტიკულ ინდუსტრიას შეუძლია ეროვნული ელექტროსისტემის მხარდაჭერა, რომლის მართვაც სათანადოდ ხორციელდება. თუმცა, გავრცობილი ენერჯის განვითარებისას თავს იჩენს ოთხი ძირითადი ბარიერი: ეკონომიკური და ფინანსური, საკანონმდებლო-მარეგულირებელი, სოციალურ-კულტურული და ტექნიკურ-ტექნოლოგიური. ეკონომიკური და ფინანსური ბარიერები მოიცავს ელექტროენერჯის ქსელის მფლობელების მონოპოლისტურ მდგომარეობას და რეგულაციების ნაკლებობას, რომლებიც გამანაწილებელი სისტემის ოპერატორებს ავალდებულებს ენერგეტიკულ გაერთიანებებთან თანამშრომლობას. საკანონმდებლო-მარეგულირებელი ბარიერები მოიცავს არასრულყოფილად განხორციელებულ საკანონმდებლო რეგულაციას, რთულ საინვესტიციო პროცესებს და ისეთი რეგულაციების არარსებობას, რაც ხელს უწყობს ენერგეტიკულ ტრანსფორმაციას. სოციალურ-კულტურული ბარიერები მოიცავს ენერგეტიკის მართვისა და თანამედროვე ტექნიკური გადაწყვეტილებების შესახებ ცოდნისა და განათლების ნაკლებობას. ტექნიკურ-ტექნოლოგიურ ბარიერები მოიაზრებს ენერგეტიკული ინფრასტრუქტურისთვის არადაამაკმაყოფილებელ ტექნიკურ პირობებს, მონიტორინგსა და ქსელის კონტროლს არასაკმარისი დონით.

¹⁶ წინამდებარე ანგარიშის 2024 წლის მეორე კვარტლისთვის, მომხმარებელთა რაოდენობა აღემატება 1.9 მილიონს.